

<p><b>თიბისი ბანკი მსოფლიოს საშუალო ბანკების რეიტინგში უკვე მემყვანად დასახელდა</b></p> <p>ლონდონში მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული საბანკო კონკურსის, “ფაინენშლ თაიმს გრუპის” (Financial Times Group) და მისი ჟურნალი “ბანკერი“-ს (“The Banker”) ყოველწლიური საბანკო რეიტინგის შედეგები გამოცხადდა, სადაც მსოფლიოს “წლის საუკეთესო ბანკებს” შორის უკვე მეექვსედ დასახელდა ქართული თიბისი ბანკი.</p> <p>წლებანდელი დაჯილდოების ცერემონიალი ლონდონში გაიმართა. ამჯერად საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხილულ იქნა მსოფლიოს 147 ქვეყნის საბანკო სექტორი. “საქართველოში კომერციული ბანკების კონკურენცია უფრო და უფრო ინტენსიური ხდება, ამის მიუხედავად, თიბისი ბანკი წარმატებით ახერხებს წამყვანი პოზიციების შენარჩუნებას. მისი საქმიანობა გვიჩვენებს ბანკის სერიოზულ ზრდას მიკრო ბიზნესის დაფინანსების, მაღალი დონის რისკ-მენეჯმენტისა და კარგად დივერსიფიცირებული საინვეტიციო ბაზის კუთხით,” - წერს ჟურნალი “The Banker“ (დეკემბერი, 2011 წელი).</p> <p>2011 წლის 9 თვის შედეგებით, თიბისი ბანკის აქტივები გაიზარდა 32%-ით, ჯამური სესხები 28%-ით, მთლიანი დეპოზიტები 30%-ით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზრის წილებიც: მთლიანმა აქტივებმა 24.9% შეადგინა, ჯამურმა სესხებმა 25.7% და მთლიანი დეპოზიტების წილმა კი 28.8% .</p> <p>„ჩვენთვის რა თქმა უნდა, ყოველთვის დიდი პატივია, გავხდეთ ჟურნალ „The Banker“-ის რჩეულები. ეს პრესტიჟული ჯილდო თიბისი ბანკმა უკვე მეექვსედ მიიღო, რაც ნამდვილად უდიდესი წარმატების ტოლფასია. ჩვენ მაღლიერები ვართ ჩვენი თანამშრომლებისა, რომლებმაც ეს შესაძლებელი გახადეს“, აცხადებს ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი.</p> <p>“ფაინენშლ თაიმს გრუპი” და მისი ჟურნალი „The Banker“ 1926 წლიდან ახორციელებენ ექსკლუზიურ საბანკო რეიტინგებს და ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე კომპეტენტურ ინსტიტუტს წარმოადგენენ. ჯილდოს მინიჭება ხდება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელიც აფასებს არა მარტო ბანკების ბოლო ფინანსურ მაჩვენებლებს, არამედ ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი მათი ინოვაციური მიდგომის მაჩვენებელს და, ასევე, ბანკის სტრატეგიულ განვითარებას. ამ კონკურსზე ქართული ბანკების განხილვა პირველად 2002 წელს მოხდა, როდესაც მსოფლიოს “წლის საუკეთესო ბანკებს” შორის თიბისი ბანკიც დასახელდა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>◆ ფიზიკური პირების მომსახურება;</li> <li>◆ ეორპორატიული კლიენტების მომსახურება;</li> <li>◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;</li> <li>◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;</li> <li>◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე</li> <li>◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;</li> <li>◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;</li> <li>◆ ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;</li> <li>◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;</li> <li>◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;</li> <li>◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;</li> <li>◆ FitchRatings: B + and B</li> <li>◆ Moody's: B 1 and Ba 3</li> </ul>
--	--

